

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2018 წლის 1 მაისის №99/01-01 ბრძანების საფუძველზე მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტების მათემატიკური ლოგიკისა და დისკრეტული სტრუქტურების (ინტერდისციპლინური) და რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების (ინტერდისციპლინური) კათედრებზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის №142/2018 დადგენილების მე-6 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი

9 ოქტომბერი, 2018

11:00 სთ

სხდომას ესწრებოდა კომისიის ხუთივე წევრი: 1) გიორგი გიორგობიანი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი (კომისიის თავმჯდომარე); 2) ნანა გულუა - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3) ვლადიმერ ოდიშარია – თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი (კომისიის მდივანი); 4) პაატა წერეთელი – შპს „EM კონსულტაციები და პროგრამული უზრუნველყოფა EMCიS“-ის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი; 5) ვიაჩესლავ მესხი – კიბერნეტიკის ინსტიტუტის უფროსი ინჟინერ-პროგრამისტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

დღის წესრიგი:

1. რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების (ინტერდისციპლინური) კათედრაზე პროფესორის თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის გადაცემა დასამტკიცებლად.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, გ. გიორგობიანის ინფორმაციით, თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №195/2018 დადგენილების შესრულების მიზნით, კომისიამ განიხილა კონკურსანტების, რამაზ ბოჭორიშვილის და თემურ ჯანგველამის საკონკურსო დოკუმენტაცია და ა.წ. 23 ივლისის ჩატარებული გასაუბრების მასალები. კომისიამ მოახდინა ოქმში #2 (10 ივლისი, 2018) და ოქმში #3, (23 ივლისი, 2018) წარმოდგენილი შეფასებების დეტალიზაცია. ჩატარდა მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი (იხ. ოქმი #6, 08.10.2018).

საკონკურსო კომისიამ შეაჯამა შეფასებისა და 2018 წლის 23 ივლისის ჩატარებული ფარული კენჭისყრის (იხ. ოქმი #3, 2018.07.23) შედეგები.

რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების (ინტერდისციპლინური) კათედრაზე პროფესორის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე განცხადება შემოიტანა ორმა კონკურსანტმა: რამაზ ბოჭორიშვილმა და თემურ ჯანგველამემ.

შეფასების პირველ ეტაპზე კომისიის მიერ შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია, შეფასდა კონკურსანტების მიერ ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია შეფასების ფორმის მიხედვით (იხ. ოქმი #6, 08.10.2018).

კონკურსანტ რამაზ ბოჭორიშვილის შეფასება წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით (დანართი #4).

I კატეგორია (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან). წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კონკურსანტის განათლება, აკადემიური/ სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი შესაბამისობაშია ვაკანსიის პროფილთან. კონკურსანტი, 2018 წლის არჩევნებამდე იყო პროფესორი რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების კათედრაზე, 1983 წლიდან დღემდე მუშაობს თსუ-ში. სხვადასხვა დროს იყო: განყოფილების გამგე ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში, დეკანი მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პროფესორი, დეკანის მოვალეობის შემსრულებელი. ხანგრძლივად მუშაობდა საზღვარგარეთ, როგორც მათემატიკური პროფილის, ასევე ინფორმატიკის პროფილის ინსტიტუტებში (საფრანგეთი: NATO Fellowship, INRIA, 1999-2000, 11 თვე; ვიზიტორი პროფესორი - ჟაკ ლუი ლიონსის ლაბორატორია, პიერ და მარია კიურის უნივერსიტეტი, 2001, 6 თვე. გერმანია: მეცნიერთანამშრომელი, ფრაუნჰოფერის ინსტიტუტი, 2002-2005, 3 წელი; ვიზიტორი მეცნიერთანამშრომელი, იულიხის კვლევითი ცენტრი, 2013-2015, 2017,2018).

II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან).

- კონკურსანტს აქვს მრავალწლიანი პედაგოგიური სტაჟი და გამოცდილება (იხ. I კატეგორია). ბოლო 6 წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს და ატარებდა პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებს, სემინარებს 4 საგანში თსუ-ში.
- არის 2 ნაბეჭდი სახელმძღვანელოსა და 2 ელექტრონული კურსის ავტორი, რომლებიც ისწავლება ონლაინ მეთოდით.
- კონკურსანტის მიერ შემოთავაზებულია შესაბამისი პროფილის საგანმანათლებლო პროგრამების 2 საბაკალავრო , 1 სამაგისტრო და 1 ინგლისურენოვანი სადოქტორო კურსის წაკითხვა. კონკურსანტს შეუძლია კათედრის პროფილის შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის ყველა კურსის წაკითხვა, ასევე, სწავლის შედეგების სათანადო მოდიფიკაციის შემთხვევაში, სამაგისტრო პროგრამის კურსების წაკითხვაც. სადოქტორო პროგრამის პერსონალიზებული სასწავლო ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლია საკუთარ კვლევით თემატიკაში კურსების წაკითხვა.
- სულ წარმოდგენილია 4 სილაბუსი, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის სტანდარტებთან. 2 საბაკალავრო კურსში ინტეგრირებულია ელექტრონული სწავლება და განთავსებულია თსუ moodle პლატფორმაზე, რომლებიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში თსუ-ში.

III კატეგორია (სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობა).

- კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 4 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, Web of science-ის ბაზაშია 4-ვე ნაშრომი ჯამური 101 ციტირებით (თვითციტირების გარეშე).
- წარმოდგენილია კონკურსანტის აზრით, მნიშვნელოვანი 3 ნაშრომი. 2 ნაშრომი შესრულებულია 2018 წ. და განთავსებულია არქივში (arxiv.org), შესაბამისად არ არის ამ ნაშრომებზე ციტირებები. მესამე ნაშრომი შესრულებულია 2017 წელს.
- კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს საკუთარი შრომების ციტირების ინდექსი Web of science-ის მიხედვით - 7 პუბლიკაცია, 101 ციტირება (თვითციტირების გარეშე), $h = 3$, $g = 4$; კომისიამ დამატებით მოიპოვა მონაცემები: Scopus-ის ბაზაშია 7 ნაშრომი 97 ციტირებით, $h = 4$; Publish&Perish-ის მიხედვით - 10 ნაშრომი, სულ 165 ციტირება, $h = 4$, $g = 11$.

- ბოლო 6 წელიწადში მონაწილეობა აქვს მიღებული 6 საერთაშორისო კონფერენციაში, როგორც ქვეყნის შიგნით (5), ასევე საზღვარგარეთ (1).
 - კონკურსანტს მონაწილეობა აქვს მიღებული საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2 სამეცნიერო პროექტში; გერმანიის Volkswagen Foundation-ის პროექტში; იყო TEMPUS-ის გრანტში გუნდის ლიდერი თსუ-ს მხრიდან; MCA Georgia-ს გუნდის წევრი თსუ-ს მხრიდან. კონკურსანტი არის Volkswagen Foundation #93581 და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის #04/50, 2017 – 2022, პროექტის, International doctoral program in mathematics at Tbilisi State University, ხელმძღვანელი საქართველოს მხრიდან (გიოტინგენის უნივერსიტეტთან ერთად).
 - კონკურსანტს აქვს მჭიდრო სამეცნიერო (და პედაგოგიური) თანამშრომლობა საფრანგეთის და გერმანიის უნივერსიტეტებთან და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებთან (იხ. I კატეგორია). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამშრომლობა იულიხის (გერმანია) კვლევით ცენტრთან, რომლის ფარგლებშიც, თსუ-ში დაარსებულ ლაბორატორიაში SMART|AtmoSim_Lab, კონკურსანტი არის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ერთობლივი ხელმძღვანელი. დამატებით ინფორმაციაში წარმოდგენილია ხელშეკრულება AtmoSimLab-ის შესახებ, რომელშიც ფიგურირებს რ. ბოჭორიშვილის გვარი და კვლევის თემატიკა. ეს 11-წლიანი თანამშრომლობა საგანგებოდაა აღნიშნული თსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმაში (იხ. გვ. 7).
 - საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილია ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი, 2 თანაავტორთან ერთად: Equilibrium schemes for scalar conservation laws with stiff sources, Math. Comput. 72 (2003), 131–157. ნაშრომს აქვს 61 ციტირება თვითციტირების გარეშე Web of Science Core Collection-ის მიხედვით.
 - სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაცო წერილის მიხედვით კონკურსანტს აქვს ჩამოყალიბებული ხედავ კვლევის შესაბამის დარგში.
- IV კატეგორია** (სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)). წარმოდგენილი ინფორმაციით:
- კონკურსანტი დაჯილდოვებულია უნივერსიტეტის მედლით (ჯილდო ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე გაწეული სამუშაოსთვის, 2016).
 - ხელმძღვანელობს 3 სასწავლო პროგრამას თსუ-ში: 2 ქართულენოვანი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი და თანახელმძღვანელი; ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის თანახელმძღვანელი და ბორდის წევრი.
 - არის 1 დოქტორანტის, 2 მაგისტრანტის, 3 საბაკალავრო ნაშრომის და 7 ინტერნშიფის ხელმძღვანელი იულიხის კვლევით ცენტრში პროფესორ ჰ. ელბერნთან თანახელმძღვანელობით.
 - კონკურსანტის ინიციატივით დაარსდა: ყოველწლიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი მათემატიკა; ონლაინ შეჯიბრება „მეცნიერების თასი“, რომელშიც მათემატიკა ინტეგრირებულია; ონლაინ ოლიმპიადა მათემატიკაში. ბოლო ორი ღონისძიება ორგანიზებულია სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად.
- წარმოდგენილი აქტივობა ემსახურება თსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმის ამო-
ცანას: სტრატეგიული მიზანი I, სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის
განვითარება: ამოცანა I.12 მეცნიერების პოპულარიზაცია.
კომისიამ იმსჯელა კონკურსანტ რ. ბოჭორიშვილის მონაცემებზე. აზრი გამოთქვეს ნ. გულუამ, ვ.
ოდითარამ, ვ. მესხმა, გ. გიორგობიანმა.

დაადგინეს:

კონკურსანტმა რ. ბოჭორიშვილმა:

I კატეგორიაში მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“;

კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება II კატეგორიაში;

კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება III კატეგორიის ორივე პუნქტში: 1. ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას - მაღალი; 2. ხელს შეუწყობს თსუ-ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას - მაღალი.

კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება IV კატეგორიის ორივე პუნქტში: 1. ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას - მაღალი; 2. ხელს შეუწყობს თსუ-ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას - მაღალი.

კონკურსანტს მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და მიწვეული იქნა გასაუბრებაზე.

კონკურსანტ თემურ ჯანგველაძის შეფასება წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით (დანართი #4).

I კატეგორია (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან). წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კონკურსანტის განათლება, აკადემიური/ სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი შესაბამისობაშია ვაკანსიის პროფილთან. ამჟამად არის სტუ-ის პროფესორი, თსუ-ის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ნახევარ განაკვეთზე, თსუ-ის მოწვეული პროფესორი; იყო თსუ-ის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი 2009 წლამდე, და სხვა. სხვადასხვა წლებში შეთავსებით მუშაობდა სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში საქართველოში. კონკურსანტს აქვს საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილება, იყო მიწვეული პროფესორი აშშ-ში (მონტერეი, სადოქტორო სკოლა, 2012 – 2013).

II კატეგორია. (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან).

- კონკურსანტს აქვს მრავალწლიანი პედაგოგიური სტაჟი და გამოცდილება, კითხულობდა და კითხულობს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო კურსებს სხვადასხვა უნივერსიტეტებში და სასწავლო დაწესებულებებში, მათ შორის თსუ-ში. ბოლო 6 წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს და ატარებდა პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებს, სემინარებს 7 საგანში, ძირითადად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში, ასევე ვაკანსიის უნივერსიტეტში.
- არის 10 სახელმძღვანელოსა და სალექციო კურსის ავტორი (მათ შორის 1 იბეჭდება).
- კონკურსანტის მიერ შემოთავაზებულია შესაბამისი პროფილის საგანმანათლებლო პროგრამების 4 საბაკალავრო კურსის წაკითხვა (წარმოდგენილია 1 სილაბუსი). კონკურსანტის აზრით, სამომავლოდ (პროგრამებში ცვლილების შეტანის შემდეგ) შეიძლება კურსად განხილულ იქნეს 1 საბაკალავრო, 3 სამაგისტრო და 2 სადოქტორო კურსის წაკითხვა.
- სულ წარმოდგენილია 4 სილაბუსი (საბუთებში წარმოდგენილი 5 სილაბუსიდან 2 ერთმანეთს ემთხვევა), რომლებიც შესაბამისობაშია უნივერსიტეტის სტანდარტებთან.

III კატეგორია (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა).

- კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 24 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, რომელთაგან 2 იბეჭდება. კონკურსანტის ინფორმაციით ნაშრომებს აქვთ ჯამური 523 ციტირება. Web of science-ის ბაზაშია 14 ნაშრომი ჯამური 51 ციტირებით (თვითციტირების გარეშე). 4 სტატია, მაღალი ციტირებით (საშუალოდ 54) გამოქვეყნებულია მაღალრეიტინგულ ჟურნალებში 1986 წლამდე (შესაბამისად ვერ მოხვდნენ Web of science-ის ბაზაში).
- წარმოდგენილია კონკურსანტის აზრით, მნიშვნელოვანი 52 ნაშრომი, მათ შორის 12 საკონფერენციო მასალა (proceedings) და 2 მონოგრაფია.
- კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს საკუთარი შრომების ციტირების ინდექსი Google Scholar-ის მიხედვით - სულ 951 ციტირება, $h = 15$, $g = 25$. თსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმაში, გარკვეულ შემთხვევებში, უპირატესობა ენიჭება Scopus-ის და Web of Science-ის ბაზებს (იხ. გვ. 7).

ამდენად, კომისიამ დამატებით მოიპოვა შემდეგი მონაცემები: Scopus-ის ბაზაშია 25 ნაშრომი 143 ციტირებით, $h = 6$; Web of science – 21 ნაშრომი 51 ციტირებით (თვითციტირების გარეშე), $h = 6$.

- ბოლო 6 წელიწადში მონაწილეობა აქვს მიღებული 19 საერთაშორისო კონფერენციაში, როგორც ქვეყნის შიგნით (9), ასევე საზღვარგარეთ (10);
- კონკურსანტს მონაწილეობა აქვს მიღებული საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 4 სამეცნიერო პროექტში, მათ შორის 2 ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტია; CNRS / SRNSF ერთობლივ პროექტში (სამეცნიერო თანახელმძღვანელი); აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ფულბრაიტის გრანტი (სამეცნიერო ხელმძღვანელი). აღნიშნული პროექტები სამეცნიერო-კვლევითი ხასიათისაა.
- კონკურსანტს აქვს მჭიდრო სამეცნიერო თანამშრომლობა აშშ-ს, საფრანგეთის, გერმანიის, ისრაელის, ავსტრიის და ჩეხეთის უნივერსიტეტებთან და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებთან. ყოველი მათგანი სამეცნიერო-კვლევითი ხასიათისაა და მოიცავს ერთობლივ სამეცნიერო კვლევას, საერთო სამეცნიერო სტატიებზე, მონოგრაფიებზე და სახელმძღვანელოზე მუშაობას.
- საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილია ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი, მონოგრაფია, 2 თანაავტორთან ერთად: Numerical Solution of Three Classes of Nonlinear Parabolic Integro-Differential Equations, Elsevier, 2016, ACADEMIC PRESS, 254 p. ISBN: 978-0-12-804628-9. ნაშრომი Web of Science Core Collection-ში არ მოიძებნა. Google Scholar-ის მიხედვით ნაშრომს აქვს 15 ციტირება (უმეტესწილად ავტორების).
- სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაცია წერილის მიხედვით კონკურსანტს აქვს ჩამოყალიბებული ხედვა კვლევის შესაბამის დარგში.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)). წარმოდგენილი ინფორმაციით:

- კონკურსანტს აქვს 5 სერტიფიკატი (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თსუ, ფულბრაიტის პროგრამა), მათ შორის აქვს სერტიფიკატები სამეცნიერო-პედაგოგიური აქტივობებისთვის, დაჯილდოვებულია 1 სიგელით;
 - იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოთვლითი მათემატიკისა და ინფორმატიკის მიმართულების ხელმძღვანელი, სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;
 - კონკურსანტი არის 6 დოქტორის (4 თსუ-დან), 40 მაგისტრის (24 თსუ-დან) სამეცნიერო ხელმძღვანელი; ამჟამად არის 1 მაგისტრანტის და 5 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი;
 - ფლობს უცხო ენებს: ინგლისურს - კარგად, რუსულს - თავისუფლად;
 - არის საერთაშორისო მათემატიკური ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი და რეცენზენტი, Mathematical Reviews და Zentralblatt fur Mathematik რეფერენტი. 2017 წლიდან არის საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი.
- კომისიამ იმსჯელა კონკურსანტ თ. ჯანგველამის მონაცემებზე. აზრი გამოთქვეს პ. წერეთელმა, ნ. გულუამ, ვ. ოდიშარიამ, ვ. მესხმა, გ. გიორგობიანმა.

დაადგინეს

კონკურსანტმა თ. ჯანგველამემ:

I კატეგორიაში მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“;

კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება II კატეგორიაში;

კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება III კატეგორიის ორივე პუნქტში: 1. ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას - მაღალი; 2. ხელს შეუწყობს თსუ-ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას - მაღალი.

კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება IV კატეგორიის ორივე პუნქტში: 1. ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას - მაღალი; 2. ხელს შეუწყობს თსუ-ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას - მაღალი.

კონკურსანტს მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და მიწვეული იქნა გასაუბრებაზე.

მეორე ეტაპზე მოხდა კონკურსანტებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგების შეფასება.

გასაუბრება რ. ბოჭორიშვილთან.

გასაუბრება ჩატარდა დადგენილი განრიგის მიხედვით (იხ. ოქმი #3). გასაუბრებაში მონაწილეობდა კომისიის ხუთივე წევრი. დასაწყისში კონკურსანტს დაეთმო 15-20 წუთი საკუთარი სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების წარმოსაჩენად. შემდეგ შეხვედრა გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიამ თხოვა კონკურსანტს დაეზუსტებია ანკეტის 1.4 პუნქტში (პედაგოგიური სტაჟი) მოცემული ფრაზა: „არ მახსოვს და ვფიქრობ არც არის მნიშვნელოვანი თუ რა კურსები იკითხებოდა 20 წლის წინ...“. კონკურსანტმა დაადასტურა თავისი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ ბოლო 6 წლის აქტიური კურსები მოცემულია ანკეტის მომდევნო პუნქტებში. პუნქტ 3.2-თან (სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები კონკურსანტის შეხედულებისამებრ) დაკავშირებით კონკურსანტი განმარტავს: „ფრაზა “მნიშვნელოვანი პუბლიკაციები” გაგებულია პირდაპირი მნიშვნელობით. შესაბამისად აქ წარმოდგენილია მხოლოდ ის საკვანძო პუბლიკაციები, რომლებიც განსაზღვრავს სამომავლო კვლევის მიმართულებას და წარმოდგენილი არ არის ის პუბლიკაციები, რომლებიც თავის დროზე მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ არა დღეს“. გასაუბრების დროს კონკურსანტმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს ის პუბლიკაციები, რომლებიც აქტუალურია დღეს და პერსპექტიულია სამომავლო კვლევებისთვის. შესაბამისად წარმოდგენილი ნაშრომებიდან ერთი გამოქვეყნდა 2017 წელს, 2 კი მომზადებულია 2018-ში.

გასაუბრება თ. ჯანგველაძესთან.

გასაუბრება ჩატარდა დადგენილი განრიგის მიხედვით (იხ. ოქმი #3). გასაუბრებაში მონაწილეობდა კომისიის ხუთივე წევრი. გასაუბრების დასაწყისში კონკურსანტს დაეთმო 15-20 წუთი საკუთარი სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების წარმოსაჩენად. შემდეგ შეხვედრა გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

ის ფაქტი, რომ წარმოდგენილი 5 სილაბუსიდან 2 ერთმანეთს ემთხვევა, კონკურსანტმა ახსნა მექანიკური შეცდომით. კითხვაზე, შეიტანდა თუ არა კათედრის მუშაობაში ცვლილებებს პროფესორის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში, კონკურსანტმა უპასუხა, რომ განახორციელებდა გარკვეულ ცვლილებებს.

კომისიამ იმსჯელა ჩატარებული გასაუბრების შესახებ. აზრი გამოთქვეს ნ. გულუამ, პ. წერეთელმა, ვ. ოდიშარიამ, ვ. მესხმა, გ. გიორგობიანმა.

დაადგინეს:

კომისიის წევრები დაკმაყოფილდნენ გაცემული პასუხებით. გასაუბრებამ აჩვენა, რომ კონკურსანტების ქცევის, მსჯელობის და გადმოცემის კულტურა, მეტყველების მანერა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის პროფესორისთვის აუცილებელ თვისებებთან და გამოცხადებულ ვაკანსიასთან.

შემდეგ კომისიამ იმსჯელა და შეაჯერა კანდიდატების მონაცემები წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან).

ამ კატეგორიაში ორივე კონკურსანტმა მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“. საბუთების განხილვის პროცესში გამოიკვეთა ორივე კანდიდატის მდიდარი სამსახურებრივი გამოცდილება აკადემიურ სფეროში. თ. ჯანგველაძეს აქვს მუშაობის უფრო მრავალ-

წლიანი სტაჟი, იგი მუშაობდა და მუშაობს საქართველოს მრავალ სასწავლო/კვლევით დაწესებულებაში. რ. ბოჭორიშვილის აქვს გარკვეული უპირატესობა საზღვარგარეთ მუშაობის კომპონენტში და თსუ-ში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილების თვალსაზრისით.

II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან).

ამ კატეგორიაში ორივე კონკურსანტმა მიიღო შეფასება მაღალი. კონკურსანტებს აქვთ მრავალწლიანი პედაგოგიური სტაჟი და გამოცდილება. ბოლო 6 წლის განმავლობაში კითხულობდნენ ლექციებს და ატარებდნენ პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებს, სემინარებს, რ. ბოჭორიშვილი - თსუ-ში, თ. ჯანგველამე უმეტესწილად სტუ-ში (ასევე თსუ-ში და კავკასიის უნივერსიტეტში). თ. ჯანგველამეს ეკუთვნის მეტი რაოდენობის სახელმძღვანელო - 10 (1 იბეჭდება), თუმცა რ. ბოჭორიშვილი, 2 ნაბეჭდ სახელმძღვანელოსთან ერთად ავტორია 2 ელექტრონული კურსის, რომელთა შესაბამის სილაბუსებში ინტეგრირებულია ელექტრონული სწავლება (e-learning) და რომლებიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში თსუ-ში. ეს უკანასკნელი აქტივობა შესაბამისობაშია თსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან: მიზანი V, საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია: ამოცანა V.6 სწავლების ელექტრონული ფორმების გაუმჯობესება და სწავლების შერეული მეთოდის დანერგვის ხელშეწყობა.

თ. ჯანგველამის მიერ შემოთავაზებულია შესაბამისი პროფილის საგანმანათლებლო პროგრამების 4 საბაკალავრო კურსის წაკითხვა. წარმოდგენილია აგრეთვე 7 კურსი, რომლებიც სამომავლოდ (პროგრამებში ცვლილების შეტანის შემდეგ) შეიძლება თსუ-ის სამაგისტრო და სადოქტორო კურსად იქნეს განხილული. შევნიშნოთ, რომ თ. ჯანგველამის მიერ მაგისტრატურის საფეხურისთვის შემოთავაზებული სასწავლო კურსები დღეისათვის ფაკულტეტზე არსებულ სამაგისტრო პროგრამებში არ არის.

რ. ბოჭორიშვილი წარმოდგენს შესაბამისი პროფილის საგანმანათლებლო პროგრამების 4 კურსს, მათ შორის 1 ინგლისურენოვანი სადოქტორო კურსია. რ. ბოჭორიშვილს შეუძლია კათედრის პროფილის შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის ყველა კურსის წაკითხვა, ასევე, სწავლის შედეგების სათანადო მოდიფიკაციის შემთხვევაში, სამაგისტრო პროგრამის კურსების წაკითხვაც. სადოქტორო პროგრამაში შეუძლია საკუთარ კვლევით თემატიკაში კურსების წაკითხვა.

თ. ჯანგველამეს წარმოდგენილი აქვს 4 სილაბუსი, მათ შორის ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამის 2 სილაბუსი - „ზოგიერთი კლასის დიფერენციალური განტოლებების მიახლოებითი ამოხსნის მეთოდები“ და „რიცხვითი ანალიზის დამატებითი თავები“. ამ კურსებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დღეს, თსუ-ში მოქმედი ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა არ ითვალისწინებს დარგობრივ სპეციალიზებულ კურსებს პროგრამის სტრუქტურიდან და პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის მოთხოვნიდან გამომდინარე.

რ. ბოჭორიშვილს წარმოდგენილი აქვს 4 სილაბუსი. 2 საბაკალავრო კურსში ინტეგრირებულია ელექტრონული სწავლება და აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში თსუ-ში.

მსჯელობის დროს გაირკვა, რომ კომისიის წევრების ნაწილის აზრით, II კატეგორიაში ჩანს რ.

ბოჭორიშვილის გარკვეული უპირატესობა. იყო სხვა მოსაზრებაც. ამიტომ საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. ღია კენჭისყრაზე, ხმათა უმრავლესობით, 4 ხმა 1-ის წინააღმდეგ, მიღებული იქნა ფორმულირება: II კატეგორიაში უპირატესობა აქვს რ. ბოჭორიშვილს.

III კატეგორია (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა).

ამ კატეგორიაში იკვეთება თ. ჯანგველამის უპირატესობა პუბლიკაციების ნაწილში. მის მიერ წარმოდგენილია 24 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში ჯამური 523 ციტირებით Google Scholar-ის მიხედვით. იგივე Google Scholar-ის მიხედვით, თ. ჯანგველამის შრომებს აქვთ 951 ციტირება, h = 15, g = 25. უნდა აღინიშნოს, რომ თსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმაში,

გარკვეულ შემთხვევებში, უპირატესობა ენიჭება Scopus-ის და Web of Science-ის ბაზებს (იხ. გვ. 7). Web of Science-ის ერთ-ერთი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ აქ შესაძლებელია მონაცემთა გაფილტრვა. შედარებისთვის მოვიყვანთ კონკურსანტების მონაცემებს თვითციტირების გარეშე Web of Science-ის მიხედვით: თ. ჯანგველაძე – 21 ნაშრომი 51 ციტირებით (თვითციტირების გარეშე), $h = 6$; რ. ბოჭორიშვილი - 7 პუბლიკაცია, 101 ციტირება (თვითციტირების გარეშე), $h = 3$.

თ. ჯანგველაძეს წარმოდგენილი აქვს, თავის შეხედულებისამებრ, 52 მნიშვნელოვანი ნამუშევარი, რ. ბოჭორიშვილს კი - 3. თ. ჯანგველაძეს უპირატესობა აქვს კონფერენციების ნაწილშიც.

ორივე კონკურსანტს მონაწილეობა აქვს მიღებული 6-6 საგრანტო პროექტში. თ. ჯანგველაძის პროექტები ძირითადად წმინდა სამეცნიერო კვლევითი ხასიათისაა, მათ შორის 2 ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტია. რ. ბოჭორიშვილის პროექტების ნაწილი ორიენტირებულია სასწავლო პროგრამებზე, e-Learning-ის განვითარებაზე.

ორივე კონკურსანტს აქვს მჭიდრო თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რ. ბოჭორიშვილის თანამშრომლობა იულიხის (გერმანია) კვლევით ცენტრთან, რომლის ფარგლებშიც, თსუ-ში დაარსდა SMART|AtmoSim_Lab, სადაც კონკურსანტი არის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ერთობლივი ხელმძღვანელი. დამატებით ინფორმაციაში წარმოდგენილია ხელშეკრულება, რომელშიც ფიგურირებს რ. ბოჭორიშვილის გვარი და კვლევის თემატიკა. ეს 11-წლიანი თანამშრომლობა საგანგებოა და აღნიშნული თსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმაში (იხ. გვ. 7) და ეთანადება ამოცანას IV.1 - სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური ლაბორატორიების შექმნა და არსებულების რეაბილიტაცია. საკონკურსო კომისიის აზრით, ამ კომპონენტში იკვეთება რ. ბოჭორიშვილის უპირატესობა.

საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილია თითო გამოქვეყნებული ნაშრომი, რ. ბოჭორიშვილის ნაშრომს აქვს 61 ციტირება თვითციტირების გარეშე Web of Science Core Collection-ის მიხედვით. თ. ჯანგველაძის ნაშრომი Web of Science-ის ბაზაში არ მოიძებნა. Google Scholar-ის მიხედვით კი ნაშრომს აქვს 15 ციტირება (უმეტესწილად ავტორების). ამ კომპონენტში იკვეთება რ. ბოჭორიშვილის უპირატესობა.

საკონკურსო კომისია თვლის, რომ III კატეგორიაში ორივე კონკურსანტს აქვს ძლიერი მხარეები და იმსახურებენ მაღალ შეფასებებს. ამ კატეგორიაში შეფასება ხდება ორ პუნქტში, შეფასების 2 კრიტერიუმის მიხედვით. საკონკურსო კომისია, წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, თვლის, რომ არ იკვეთება რომელიმე კონკურსანტის მკვეთრი უპირატესობა III კატეგორიის ზემოთხსენებული 2 კრიტერიუმის მიხედვით. კრიტერიუმი 1-ის პირველ ნაწილში - „ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას“, უპირატესობა თ. ჯანგველაძის მხარესაა, მაშინ როცა მეორე ნაწილში - „... საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას“ - უპირატესობა შეიძლება მივანიჭოთ რ. ბოჭორიშვილს; კრიტერიუმი 2-ის მიხედვით - „ხელს შეუწყობს თსუ-ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას“, კონკურსანტთა პოტენციური შეიძლება ჩაითვალოს თანაბრად, თუმცა, ამავე დროს, აღნიშვნის ღირსია რ. ბოჭორიშვილის აქტივობები ამ მიმართულებით.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)).

თ. ჯანგველაძეს აქვს მიღებული სერტიფიკატები/სიგელი სამეცნიერო-პედაგოგიური აქტივობებისთვის; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში იყო გამოთვლითი მათემატიკისა და ინფორმატიკის მიმართულების და სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი, არის საერთაშორისო მათემატიკური ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების წევრი, რეცენზენტი და რეფერენტი. არის საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი.

რ. ბოჭორიშვილი დაჯილდოვებულია თსუ-ის მედლით. ხელმძღვანელობს 3 სასწავლო პროგრამას თსუ-ში: არის 2 ქართულენოვანი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი

და თანახელმძღვანელი; ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის თანახელმძღვანელი და ბორდის წევრი (გიოტინგენის უნივერსიტეტთან ერთად); საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ერთობლივი ხელმძღვანელი SMART|AtmoSim_Lab -ში. ეს აქტივობა შეესაბამება თსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ: ამოცანა II.2 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ამაღლება; სტრატეგიულ მიზანი V : საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია: ამოცანა V.1 საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ; ამოცანა V.4 უცხოენოვანი და ბილინგვური, ორმაგი და ერთობლივი ხარისხების მიმნიჭებელი სასწავლო პროგრამების შემდგომი განვითარება. მისი ხელმძღვანელობით, მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამების სტუდენტები მოხსენებებს აკეთებენ ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდის ვორკშოფებზე. ეს აქტივობა შეესაბამება თსუ -ის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემდეგ მიზნებს და ამოცანებს: სტრატეგიული მიზანი II, სამეცნიერო კვლევების ინტეგრება სასწავლო პროცესში: ამოცანა II.2 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ამაღლება, ინდიკატორი – დოქტორანტის უცხოელი თანახელმძღვანელი; ამოცანა II.4 კვლევითი კომპონენტის გაძლიერება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებში; სტრატეგიული მიზანი VI, საგანმანათლებლო საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია: ამოცანა VI.3 უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავება; სტრატეგიული მიზანი IX, სტუდენტური ცხოვრების განვითარება: ამოცანა IX.4, სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობის განვითარება. რ. ბოჭორიშვილის ინიციატივით დაარსდა: ყოველწლიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი მათემატიკა; სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად - ონლაინ შეჯიბრება „მეცნიერების თასი“ და ონლაინ ოლიმპიადა მათემატიკაში. წარმოდგენილი აქტივობა ემსახურება თსუ-ის სტრატეგიულ მიზანს I, სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის განვითარება, ამოცანა I.12 მეცნიერების პოპულარიზაცია.

კონკურსანტის ანკეტის პუნქტის „სტუდენტის ხელმძღვანელობა“ მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს ბოლო 6 წლის მონაცემებს, თ. ჯანგველაძე არის თსუ-დან 4 დოქტორის და 24 მაგისტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი. კონკურსანტს დამატებითი ინფორმაციის სახით წარმოდგენილი აქვს მისი ხელმძღვანელობით დაცული 6 სადოქტორო და 41 სამაგისტრო ნაშრომის ჩამონათვალი, რომელთაგან ბოლო 6 წელიწადში შესრულებულია 3 სადოქტორო (უნივერსიტეტები არ არის მითითებული) და 2 სამაგისტრო ნაშრომი თსუ-ში; რ. ბოჭორიშვილი არის 1 დოქტორანტის, 2 მაგისტრანტის და 7 ინტერნშიფის ხელმძღვანელი თსუ-ში (არ არის წარმოდგენილი დამატებითი საბუთები). კომისია შეეცადა დაეზუსტებია ეს ინფორმაცია მხოლოდ თსუ-ის ფარგლებში, რისთვისაც მიმართა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს (იხ. განცხადება, 02.10.2018). ფაკულტეტის ინფორმაციით (წერილი N 20302/28, 02.10.2018), თსუ-ში ბოლო 6 წლის განმავლობაში თ. ჯანგველაძე არის 1 დოქტორის და 2 მაგისტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი. დადასტურდა რ. ბოჭორიშვილის ინფორმაცია 1 დოქტორანტის და 2 მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობაზე. ინტერნშიფის შესახებ ფაკულტეტს არ აქვს ინფორმაცია, თუმცა გარკვეული ინფორმაცია მოიპოვება ვებ-საიტზე: <http://collaborations.fz-juelich.de/ikp/cgswhp/>.

IV კატეგორიის ორივე პუნქტში კონკურსანტებმა მიიღეს მაღალი შეფასება. მსჯელობის დროს გაირკვა, რომ კომისიის ნაწილის აზრით, პირველი კრიტერიუმის მიხედვით - 1. ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას, უპირატესობა აქვს რ. ბოჭორიშვილს. იყო სხვა მოსაზრებაც. ამის გამო ჩატარდა ღია კენჭისყრა. კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით, 4 ხმა 1 -ის წინააღმდეგ, IV კატეგორიის ამ კრიტერიუმთან დაკავშირებით მიღებული იქნა შემდეგი ფორმულირება: IV კატეგორიის პირველ პუნქტში - 1. ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას, უპირატესობა აქვს რ. ბოჭორიშვილს.

რაც შეეხება IV კატეგორიის მეორე კრიტერიუმს - 2. ხელს შეუწყობს თსუ-ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას, კომისიის აზრით კონკურსანტთა პოტენციალი თანაბარია.

კომისიამ იმსჯელა და შეაჯერა კანდიდატებთან გასაუბრების შედეგები.

ამ კომპონენტში, კომისიის წევრებმა მიიჩნიეს, რომ ფლობენ რა უნივერსიტეტის პროფესორის-თვის აუცილებელ თვისებებს, ორივე კანდიდატი თანაბრად შეესაბამება გამოცხადებულ ვაკანსიასას.

მოქმედი დებულების თანახმად 2018 წლის 23 ივლისს ჩატარდა ფარული კენჭისყრა (იხ. ოქმი #3. 2018.07.23)

ფარული კენჭისყრის შედეგები ასეთია: **რ. ზოჭორიშვილი** - მომხრე 4, მოწინააღმდეგე 1; **თ. ჯანგველაძე** - მომხრე 1, მოწინააღმდეგე 4.

დაადგინეს:

რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების (ინტერდისციპლინური) კათედრაზე პროფესორის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე გამარჯვებულად გამოვლინდა **რ. ზოჭორიშვილი**.


2. დღის წესრიგის მეორე საკითხი.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ აკადემიური საბჭოს #118/2014 დადგენილების თანახმად კომისიამ

დაადგინა:

შემაჯამებელი ოქმი გადაეცეს დასამტკიცებლად უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

1) გიორგი გიორგობიანი (კომისიის თავმჯდომარე);



2) ნანა გულუა (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);



3) ვლადიმერ ოდიშარია (კომისიის მდივანი);



4) პაატა წერეთელი;



5) ვიაჩესლავ მესხი.

